



სამართლიანი არჩევნები

31 მაისი, 2010 წელი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

წინასწარი განცხადება 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების შესახებ

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ განახორციელა 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების, არჩევნების დღის მონიტორინგი. ორგანიზაცია კენჭისყრის მიმდინარეობას დააკვირდა **1100** საარჩევნო უბნის დამკვირვებლის, **73** საარჩევნო ოლქის დამკვირვებლის, **73** მობილური ჯგუფისა და **15** იურისტთა ჯგუფის მეშვეობით. ამასთანავე, ორგანიზაციამ განახორციელა არჩევნების დღის ხარისხობრივი და რაოდენობრივი დაკვირვება.

„სამართლიანი არჩევნები“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები შედგა, რაც გამოიხატა საქართველოს ამომრჩეველთა მხრიდან კენჭისყრაში აქტიური მონაწილეობით. ამასთანავე, არჩევნების დღეს ისევე როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, აშკარად გამოიკვეთა საარჩევნო ადმინისტრაციისა და ხელისუფლების მხრიდან არჩევნების კარგად ჩატარების ნება, რაც დადებითია და აღნიშვნას საჭიროებს.

თუმცა, კენჭისყრის დღეს, ასევე გამოვლინდა გარკვეული ტენდენციები, რომლებიც ჩრდილს აყენებს არჩევნების დღის დადებითად შეფასებას. ესენია:

- საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების აქტივისტთა მიერ განხორციელებული, მასშტაბური აგიტაცია. ორგანიზაციისათვის, რთულია იმის დადგენა, რა სახის გავლენა იქონია ზემოთ აღნიშნულმა აგიტაციამ ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენაზე;
- საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონის მოხელეთა არაშესაბამისი კვალიფიკაციის დონე და მათი არასათანადო ტექნიკური უზრუნველყოფა (მასალების ნაკლებობა, გაუმართავი ტექნიკური აპარატურა), რამაც სამწუხაროდ არ გაზარდა ამომრჩეველთა ნდობა საარჩევნო პროცესებისადმი;
- არჩევნების დღეს ორგანიზაციის მიერ დაფიქსირებული სერიოზული სახის დარღვევები, როგორცაა ორგანიზაციის დამკვირვებელთა უბანზე არ დაშვება, დამკვირვებელთა მიმართ ზეწოლა/მუქარა, სხვისი პირადობის მოწმობით ხმის მიცემა, ხელოვნურად გაზრდილი ამომრჩეველთა რაოდენობა სიის დანართში, ამომრჩეველთა სიებში არსებულ ხელმოწერებთან შედარებით, ზედმეტი ბიულეტენების რაოდენობა და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სამართლიანი

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

არჩევნების“ მონიტორინგის შედეგად ასეთი ტიპის დარღვევებს მასშტაბური ხასიათი არ ქონია.

არჩევნების დღეს გამოვლენილ დარღვევებზე „სამართლიანმა არჩევნებმა“ შეიტანა საერთო ჯამში **46 საჩივარი**. საჩივრების განხილვა, საარჩევნო პროცესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, ორგანიზაცია მოუწოდებს საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა სახელმწიფო ინსტიტუტს პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, შესაბამისად განიხილონ არჩევნების დღეს საარჩევნო ადმინისტრაციაში წარდგენილი საჩივრები და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურონ არჩევნების გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარების ნება.

ორგანიზაცია დააკვირდება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საჩივრების განხილვისა და მათზე რეაგირების პროცესს და საზოგადოებას წარუდგენს ამ პროცესის მონიტორინგის შედეგებს.

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალური შეჯამებისთანავე, ხელისუფლების, პოლიტიკური სუბიექტებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან გამოიხატოს მზაობა და სურვილი, რათა მომავალი არჩევნები ჩატარდეს უკეთეს საკანონმდებლო და პოლიტიკურ გარემოში, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტი უზრუნველყოფილ იყოს თანაბარი საარჩევნო პირობებით, ხოლო საერთაშორისო დოკუმენტების არა მხოლოდ ფორმალური მხარე, არამედ სულისკვეთება სრულად იქნეს გაზიარებული. ამისათვის ვთლით, რომ:

- აუცილებელია დაიხვეწოს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ნაწილზე;
- გაგრძელდეს მუშაობა ამომრჩეველთა ერთიანი სიის დახვეწაზე, და უზრუნველყოფილ იყოს ამ პროცესში პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა;
- გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამომრჩეველთა განათლების დონისა და ინფორმირების ამაღლების კუთხით;
- გაიზარდოს არჩევნების დანიშვნის ბოლო ვადა, რათა მოესწროს არჩევნებისათვის შესაბამისი მომზადება;
- გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა კვალიფიკაციისა და ცოდნის დონის ამაღლების მიმართულებით.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge